

ანგარიში

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2020 წელს იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობები:

2020 წელს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „სარკინიგზო გადაზიდვები“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განახორციელა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება.

კოლეჯს განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს სულ 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაგან 8 პროგრამა ხორციელდება დუალურად, 2 პროგრამა მოდულურად, 2 პროგრამა ინტეგრირებული მიდგომით, ხოლო 2-ის ბაზაზე მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა.

გარდა ამისა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ კოლეჯმა მოიპოვა ბიტეკის „BTEC“ მესამე დონის საერთაშორისო კვალიფიკაცია ელექტრულ/ელექტრონულ ინჟინერიაში.

„BTEC“-ის კვალიფიკაციის მისაღებად სავალდებულოა, რომ სწავლება განხორციელდეს პირისპირ სწავლების მეთოდით (face To face delivery).

პროგრამა სულ მოიცავს **720** საათს, რაც **ჯამში შეადგენს 29 კრედიტს**.

კოლეჯის მიერ განსახორციელებელი საკვალიფიკაციო პროგრამებია:

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია) - **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
4. რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
5. სარკინიგზო გადაზიდვები (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
6. სარკინიგზო გადაზიდვები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - **ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით;**
7. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
8. სავაგონო მეურნეობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
9. ლოკომოტივის მართვა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება დუალური მიდგომით;**
10. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)- **ხორციელდება მოდულური მიდგომით;**

11. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - ხორციელდება ინტეგრირებული მიდგომით;
12. მეჩარხე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)- ხორციელდება მოდულური მიდგომით;
13. საოფისე საქმე (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია) – პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა;
14. ბულალტრული აღრიცხვა (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია) - პროგრამის საფუძველზე შექმნილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა.

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 2020 წელი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია **379 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 344 მამაკაცი და 35 ქალი.**

აღნიშნული რაოდენობა 59 პროფესიული სტუდენტით მეტია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სქესი (კაცი/ქალი)		პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
		კაცი	ქალი	
1	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	51	4	55
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	28	0	28
3	რკინიგზის ელექტრო მოძრაობის მეურნეობა	24	5	29
4	რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა	21	0	21
5	სარკინიგზო გადაზიდვები	43	6	49
6	სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული)	8	1	9
7	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	26	3	29
8	სავაგონო მეურნეობა	43	4	47
9	ლოკომოტივის მართვა	55	1	56
10	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	23	6	29
11	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული)	10	2	12
12	მეჩარხე	12	3	15
		344	35	
ჯამი:		379		

2020 წელს კოლეჯის 61 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 45 რკინიგზელ და 16 არარკინიგზელს ჩაუტარდა შუალედური გამოცდა და გადადიან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე.

2020 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების საფუძველზე, ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოპოვებულ იქნა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების უფლება: „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“ და „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“.

კოლეჯს სულ მოპოვებული აქვს ექვსი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება:

1. ტექნიკური ნახაზების მხაზველი (პროფესიული მომზადება);
2. მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე; (პროფესიული გადამზადება);
3. საოფისე საქმის წარმოება (პროფესიული მომზადება);
4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის (პროფესიული მომზადება);
5. სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
6. სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე (პროფესიული გადამზადება);

2020 წლის განმავლობაში კოლეჯის 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ – 4 პროფესიულ სტუდენტს, „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ – 5 პროფესიულ სტუდენტს და „სარკინიგზო გადაზიდვები“ – 10 პროფესიულ სტუდენტს, ჯამში სულ 19 პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

ოთხი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების 26-მა მსმენელმა, რომელთაგან 4 იყო შშმ პირი, წარმატებით დაასრულა შერჩეული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა და შედეგად მათ გადაეცათ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების სერტიფიკატი.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა დაწესებული რეკომენდაციების გათვალისწინებით აქტიურად დაიწყო ახალი კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით შეჩერებული სასწავლო პროცესის განახლების მიმართულებით დაწესებული რეგულაციების შესრულება.

კოლეჯის მხრიდან დაწესებული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა შემოწმებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ და მათი წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე 2020 წლის 6 ივლისიდან კოლეჯს მიეცა სასწავლო პროცესის განახლების უფლება.

ამასთან, შრომის ინსპექციის ჯგუფის წარმომადგენლები პერიოდულად ახდენდნენ კორონა ვირუსის (Covid-19) პრევენციის მიზნით არსებული სიტუაციის მონიტორინგსა და კოლეჯის მხრიდან დაწესებული სტანდარტების შესრულების შემოწმებას.

სასწავლო პროცესის განახლების შემდგომ საწყის ეტაპზე სწავლება ხორციელდებოდა არადისტანციურად, ქვეყნის მასშტაბით კოვიდ მდგომარეობის გაუარესების შემდგომ კი სწავლება გაგრძელდა შერეული ფორმით, კერძოდ თეორიული მოდულები ხორციელდებოდა დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული მოდულები მიმდინარეობდა არადისტანციურად, უშუალოდ სასწავლო აუდიტორიებში.

2020 წლის 27 ნოემბრიდან ქვეყანაში საყოველთაო შეზღუდვების დაწესების შემდგომ კოლეჯი სრულად გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე;

დისტანციური სწავლების პერიოდში პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე სრულფასოვანი ჩართულობისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემოწმების მიზნით, კოლეჯის მიერ პროგრამა „DOCS“-ის გამოყენებით შემუშავებულ იქნა ონლაინ მონიტორინგის კითხვარი და ადმინისტრაციის თანამშრომლებისა თუ პროგრამების ხელმძღვანელების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა ონლაინ მეცადინეობებზე დასწრების ორგანიზება და გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება.

2020 წელს კოლეჯში დასაქმებული იყო:

- ადმინისტრაცია: 25 ერთეული
- აკადემიური პერსონალი: 125 ერთეული

2020 წლის განმავლობაში თვეების მიხედვით განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:

იანვარი	<ul style="list-style-type: none"> ✓ 10 იანვარს განახლდა სასწავლო პროცესი; ✓ 14 იანვარს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარდგენილ იქნა განაცხადი ორი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის: „საოფისე საქმის წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ განსახორციელებლად შესაბამისი დაფინანსების მოპოვების მიზნით; ✓ 17 იანვარს კოლეჯში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრნენ აზიის განვითარების ბანკის (ADB) წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს კოლეჯის
----------------	---

	<p>ინფრასტრუქტურა და დასახეს მომავალი თანამშრომლობის შესაბამისი მიმართულებები;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 19 იანვარს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459-ე დადგენილების შესაბამისად დაიწყო მუშაობა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვებისა და შიდა მარეგულირებელი წესის შემუშავების მიმართულებით; ✓ 21 და 28 იანვარს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის „მეჩარხე“ პროფესიული სტუდენტები იმყოფებოდნენ პრაქტიკულ სწავლებაზე ლითონდამამუშავებელი მიმართულებით საქართველოში არსებულ წამყვან კომპანიებში „ელიტა ბურჯი“, შპს „ნოვატორული ტექნოლოგიები“ და „ილეკრო“. ✓ 29 იანვარს მოპოვებულ იქნა დაფინანსება ორი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის: „საოფისე საქმის წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ განხორციელების მიზნით;
<p>თებერვალი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 1 თებერვალს - ჩატარდა ფოკუს ჯგუფი თემაზე: „კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა“. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა, მათ მიერ თავად იქნა არჩეული ერთი მოდერატორი, რომელიც განსაზღვრავდა მომხსენებელთა რიგითობასა და მოხსენების თუ დისკუსიის ხანგრძლივობას; ✓ 5 თებერვალს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) სარეგისტრაციო ბაზაში გამოცხადდა რეგისტრაცია პროფესიული მომზადების პროგრამებზე „საოფისე საქმის წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“. ✓ 7 და 12 თებერვალს - შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების და კოლეჯის წარმომადგენლების ჩართულობით პროფესიული მომზადების პროგრამებზე: „საოფისე საქმის წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ დარეგისტრირებულ აპლიკანტებს ჩაუტარდათ გასაუბრება. ✓ 15 თებერვალს - სს საქართველოს რკინიგზის მიერ შერჩეულ 15 მსმენელთან დაიწყო სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“. კურსის სწავლებაში მონაწილე მსმენელების

	<p>შერჩევა განხორციელდა დახურული კონკურსის საფუძველზე;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 15 და 16 თებერვალს - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების საპილოტე პროგრამის ფარგლებში: მეწარმეობის, მოქალაქეობისა და მათემატიკური წიგნიერების მოდულების განხორციელების მიზნით შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლების კანდიდატებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით კოლეჯში ჩაუტარდათ ტრენინგი; ✓ 18 თებერვალს - საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეჩარხე“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასთან შპს „ნოვატორული ტექნოლოგიები“; ✓ 28 და 29 თებერვალს - კოლეჯის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ექსპო ჯორჯიაში IEFG-ის განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ პირებს გადაეცათ კოლეჯის ბუკლეტები და სხვა საინფორმაციო მასალები, ასევე მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია კოლეჯის მიერ უკვე განხორციელებული აქტივობებისა და სამომავლოდ დასახული გეგმების შესახებ;
<p>მარტი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 2020 წლის 2 მარტიდან კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კოლეჯი გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე; ✓ 4 მარტს ახალი კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩატარდა სადებიინფექციო სამუშაოები; ✓ 12 მარტს კოლეჯში განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების საკითხთან დაკავშირებით; ✓ 13 მარტს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ხაშურის №1 და №7 საჯარო სკოლებთან. ამავდროულად ორივე საჯარო სკოლის მიერ გამოთქმულ იქნა წერილობითი თანხმობა,

	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ სპეციალური კურსის განხორციელების მიზნით უშუალოდ სკოლების ტერიტორიაზე სათანადოდ აღჭურვილი ფართის გამოყოფის თაობაზე;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 13-დან 15 მარტის ჩათვლით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ჩატარდა ხუთივე ინტეგრირებული მოდულის: მათემატიკური წიგნიერება, კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მეცნიერება და ტექნოლოგიები, მეწარმეობა და მოქალაქეობა, პროფესიული განათლების მასწავლებლების შესარჩევი სპეციალური ტრენინგ-კურსი; ✓ 18 მარტიდან კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სს საქართველოს რკინიგზაზე დროებით შეჩერდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება;
<p>აპრილი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ აპრილის თვეში კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის პრევენციის მიზნით კოლეჯმა აქტიურად დაიწყო პროფესიულ განათლებაში ონლაინ სწავლების დანერგვის პილოტირება, რომლის ფარგლებშიც საწყის ეტაპზე განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები: <ul style="list-style-type: none"> ➤ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების ინტერნეტზე და კომპიუტერულ ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის კვლევა; ➤ განხორციელდა იმ სავარაუდო მოდულების იდენტიფიცირება, რომელთა სწავლება პროფესიული სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია, რომ განხორციელდეს დისტანციურად; ➤ პროფესიული განათლების მასწავლებლები გაწვევრიანებულ იქნენ „TEAMS“-ისა და „ZOOM“-ის პლატფორმაზე; ➤ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების ინტერნეტზე და კომპიუტერულ ტექნიკაზე წვდომის შესახებ ინფორმაცია ატვირთულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (Evet.emis.ge) გახსნილ სპეციალურ ველში;
<p>მაისი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 6 მაისს დისტანციურად ჩატარდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომლის შედეგადაც ა(ა)იპ სარკინიგზო

	<p>ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა უფლება, რომ განახორციელოს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 7 მაისს სოციალური პასუხისმგებლობის აქციის ფარგლებში, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადმინისტრაციამ გაუწია დახმარება სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ორ ოჯახს სურსათ-სანოვაგით, ტკბილეულითა და ჰიგიენური საშუალებებით. კოლეჯი ასევე შეუერთდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, დაუნის სინდრომისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებულ აქტივობებს; ✓ 14 მაისს აპლიკაცია zoom - ის გამოყენებით დისტანციურად განხორციელდა კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმის განხილვა, რომლის ფარგლებშიც ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცა საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა; ✓ 11-დან 15 მაისის ჩათვლით კოლეჯის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დისტანციურად ჩატარებულ ტრენინგში, რომელიც მიზნად ისახავდა კოლეჯებისთვის ინსტიტუციური დახმარების გაწევას შეფასების ვერიფიკაციისა და თვითშეფასების კითხვარის შევსების მიმართულებით; ✓ 20 მაისიდან დაიწყო პროფესიული განათლების მიღების მსურველთა საშემოდგომო რეგისტრაცია, რომელიც დასრულდა 10 აგვისტოს;
<p>ივნისი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ივნისის თვეში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა აქტიურად დაიწყო კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით შეჩერებული სასწავლო პროცესის განახლების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ეყრდნობოდა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს. კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> ➤ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიღება დაიგეგმა იმგვარად, რომ დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი ყოფილიყო ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვითა (2მ.) და ყველა პირის დაშვება განხორციელდებოდა მხოლოდ დამცავი პირბადის გამოყენებით;

	<ul style="list-style-type: none"> ➤ ნაკადის ეფექტური კონტროლის მიზნით ასევე გაიხსნა შენობის უკანა 2 სათადარიგო და სახელოსნოს კარები, ხოლო კოლეჯში შემომსვლელი თითოეული პირი ინფორმირებული იქნებოდა, თუ რომელი შესასვლელითა და კიბის რომელი მხარით უნდა ესარგებლა; ➤ დამატებით პროცესის ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დაცვის სამსახურთან ერთად დაწესდა კოლეჯის თანამშრომლების მორიგეობის განრიგი; ➤ კოლეჯში სააუდიტორიო ფართები მოეწყო იმგვარად, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შორის დაცული ყოფილიყო 2 მეტრიანი დისტანცია; ➤ კოლეჯის თითოეულ შესასვლელ კართან მოეწყო დეზობარიერი და ორმეტრიანი დისტანციის დაცვის შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითება, სადაც კოლეჯში შემოსულ ყველა პირს ჩაუტარდებოდა თერმოსკრინინგი, ხოლო ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში კი მოხდებოდა შემთხვევის აღრიცხვა და დაუყოვნებლივ 112-ის ცხელი ხაზის წარმომადგენლებისთვის მიმართვა; ➤ თვალსაჩინო ადგილებსა და კოლეჯის ყველა საპირფარეოს კედელზე განთავსდა ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებებისა და ჰიგიენის სწორად დაცვის წესების შესახებ; ➤ სველ წერტილებში უზრუნველყოფილ იქნა ხელის დაბანის საშუალებებისა და არანაკლებ 70%-იანის სპირტის შემცველი სადეზინფექციო სითხის მუდმივი არსებობა; ➤ უზრუნველყოფილ იქნა კოლეჯში არსებული დახურული სივრცეების/სათავსების სავალდებულო ვენტილაცია ყოველ შესვენებაზე და საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიურად სანიტარულად სველი წესით დამუშავების კონტროლი; ➤ შემუშავდა და დამტკიცდა: პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე ცხრილის მიხედვით დაშვების დანართი, დაწესებულებაში წინასწარგანზრახული შესასვლელით დაშვების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი მოხმარების პერიოდული ინსტრუქტაჟის ჩატარებისა და სამუშაო ზედაპირების
--	--

	<p>სწორი დეზინფექციის მიზნით ინსტრუქტაჟის ჩატარების დანართი;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესყიდულ იქნა ანტისეპტიკური სითხეები, დეზობარიერები, სხეულის ტემპერატურის დისტანციური საზომი აპარატები, სამედიცინო პირბადეები, სტერილური ხელთათმანები, კოვიდ ნარჩენებისთვის სანაგვე ურნები და სხვა ჯანდაცვის რეკომენდაციებით გათვალისწინებული სპეციალური ეკიპირების საშუალებები; ✓ 10 ივნისს, კოლეჯის ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ დარგის სპეციალისტების ჩართულობით, ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“ პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია; ✓ 21 ივნისს კოლეჯის მხრიდან დაწესებული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა შემოწმებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ და მათი წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე კოლეჯს მიეცა 2020 წლის 6 ივლისიდან სასწავლო პროცესის განახლების უფლება. ხოლო შრომის ინსპექციის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები პერიოდულად მოახდენდნენ კორონა ვირუსის (Covid-19) პრევენციის მიზნით კოლეჯში არსებული სიტუაციის მონიტორინგს; ✓ 25 და 26 ივნისს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ინტეგრირებული ფორმით განხორციელების უფლების მოპოვებისა და პროფესიულ სტუდენტთა არსებული კონტიგენტის გაზრდის მიზნით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი; ✓ 28 ივნისს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით განახლდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება;
<p>ივლისი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 6 ივლისს კოლეჯში არადისტანციური ფორმით განახლდა კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის გამო დროებით შეჩერებული სასწავლო პროცესი; ✓ ივლისის თვეში სასწავლო პროცესის არადისტანციურ რეჟიმში გაგრძელების შემდგომ მონიტორინგისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა სააუდიტორო მეცადინეობებზე დასწრება, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და

	<p>პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, მათი კმაყოფილებისა თუ სასწავლო პროცესში ჩართულობის შესწავლა, შედეგად სტატუსი შეუჩერდა 24 პროფესიულ სტუდენტს, სტატუსი შეუწყდა 12 პროფესიულ სტუდენტს და გაფრთხილება მიეცა 50-მდე პროფესიული სტუდენტს;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 2 ივლისს გაკეთებულ იქნა განაცხადი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" BTEC საერთაშორისო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით; ✓ 6-დან 9 ივლისის ჩათვლით BTEC საერთაშორისო კვალიფიკაციის მოპოვების მიზნით დისტანციურად ჩატარდა ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის ექსპერტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები; ✓ 9 ივლისს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სწავლების მსურველი და ყველა სხვა დაინტერესებული პირის ინფორმირების მიზნით ჩატარდა ონლაინ ვებინარი, 13-დან 17 ივლისის ჩათვლით დისტანციურად ჩატარდა ღია კარის დღეები, ასევე მომზადდა კოლეჯის ვირტუალური ტურის ვიდეო რგოლი, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად განთავსდა კოლეჯის ფეისბუქსა და ოფიციალურ ვებ გვერდზე; ✓ 25 ივლისს დისტანციურად ჩატარდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა უფლება, რომ განახორციელოს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ამავე პროგრამაზე ზღვრული რაოდენობა გაიზარდა 20 პროფესიულ სტუდენტით; ✓ 28 ივლისს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" კოლეჯმა მოიპოვა ბიტეკის „BTEC“ მესამე დონის საერთაშორისო კვალიფიკაცია ელექტრულ/ელექტრონულ ინჟინერიაში, რომელიც სავალდებულოა, რომ განხორციელდეს პირისპირ სწავლების მეთოდით (face To face delivery) და სულ მოიცავს 720 საათს, 29 კრედიტს; ✓ 31 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილ იქნა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშის შევსებული ფორმა, ხოლო თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით წარსადგენი მტკიცებულებების გაგზავნის
--	--

	<p>ვადა ცენტრის დირექტორის 20/05/2020წ. №MES 1 20 00393401 ბრძანების თანახმად განისაზღვრა არაუგვიანეს 2020 წლის 18 ოქტომბრისა;</p>
<p>აგვისტო</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 3 და 8 აგვისტოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ ხუთ პროფესიულ სტუდენტს, ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდა პროგრამის, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში და მიღებული შედეგების საფუძველზე ხუთივე პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი კვალიფიკაცია; ✓ 10 აგვისტოს დასრულდა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია, რომლის დროსაც კოლეჯის მიერ გამოცხადებულ 193 ადგილზე დარეგისტრირდა 237 აპლიკანტი. რეგისტრაციის შედეგად მოდულურ პროგრამებზე რეგისტრირებულ აპლიკანტებს 5 და 6 სექტემბერს ჩაუტარდათ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს (NAEC) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება, ხოლო დუალურ პროგრამებზე რეგისტრირებულ აპლიკანტებს კი 12 აგვისტოს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობით უშუალოდ კოლეჯში ჩაუტარდათ შესარჩევი ტესტირება. საგამოცდო პროცესის შედეგად შერჩეულ 166 აპლიკანტს მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი; ✓ 12 აგვისტოს 8 მსმენელმა წარმატებით დაასრულა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“; ✓ 12 დან 15 აგვისტოს სს საქართველოს რკინიგზის 25 მოქმედმა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოკლევადიანი მომზადების კურსი ინგლისურ ენაში; ✓ 14 აგვისტოს 9 მსმენელმა წარმატებით დაასრულა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „ტექნიკური ნახაზები მხაზველი“; ✓ 15 აგვისტოს 5 მსმენელმა წარმატებით დაასრულა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „საოფისე საქმის წარმოება“; ✓ 17 აგვისტოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლების დადასტურების გზით, კოლეჯმა მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ 25 აგვისტოდან - 15 სექტემბრის ჩათვლით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ და სსსმ) პირებისთვის გამოცხადდა რეგისტრაცია მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „საოფისე საქმის წარმოება“, რომელზეც დარეგისტრირებული ექვსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტიდან კურსი წარმატებით დაასრულა ოთხმა მსმენელმა; ✓ აგვისტოს თვეში საწარმოო პრაქტიკის სამსახურის მიერ ადგილზე კომისიურად შემოწმდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის გამოყოფილი ქ. თბილისის 9 ობიექტი. შემოწმების შედეგად სარკინიგზო გადაზიდვების და ლოკომოტივის მართვის პროფესიული სტუდენტები მიმაგრებულ იქნენ თბილისის მახარისხებელ და სალოკომოტივო დეპოებში. კოორდინაცია გაუკეთდა პრაქტიკული სწავლებაზე გადასასვლელ პროფესიულ სტუდენტებისთვის სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების პროცესს, ასევე შეგროვდა და დახარისხდა პროფესიულ სტუდენტთა მიერ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მტკიცებულებები. დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ რვა პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით სს „საქართველოს რკინიგზასთან“ შეთანხმებით მოძიებულ იქნა შესაბამისი პრაქტიკის ობიექტი;
<p>სექტემბერი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 11 სექტემბერს კოლეჯის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილ იქნა თვითშეფასების ანგარიშის ფორმით გათვალისწინებული დანართები და მტკიცებულებები; ✓ სექტემბრის თვეში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განვითარებისა და „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შექმნის მიზნით, კოლეჯმა საერთაშორისო კორპორაცია GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო სასაწყობო ლოგისტიკური ინვენტარის შესყიდვისა და ბაზრის კვლევის პროცედურები, რის შემდეგ კორპორაციამ გამოაცხადა ტენდერი და გამარჯვებულმა კომპანიამ 2020 წლის დეკემბრის თვეში მოახდინა შერჩეული აღჭურვილობის ერთი ნაწილის მოწოდება, ხოლო შემდგომ პერიოდში მოხდება დარჩენილი აღჭურვილობის პერიოდული მოწოდება;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ 25 სექტემბერს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ელექტრო მოძარაგების სამსახურის მიერ კოლეჯის ეზოში დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომოძარაგების მეურნეობა“ პრაქტიკული სწავლების გარე პოლიგონის მოწყობის სამუშაოები; ✓ 28 სექტემბერს კოლეჯმა მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“ განხორციელების უფლება; ✓ 14 სექტემბრიდან კორონა ვირუსის (Covid-19) ინფექციის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე;
<p>ოქტომბერი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 1 და 5 ოქტომბერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ 10 პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდა პროგრამის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში, რომლის შედეგად ათივე პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია; ✓ 5 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკოორდინაციო ჯგუფის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თბილისის ოფისის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში დაიწყო სწავლა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე „საოფისე საქმის წარმოება“, რომელიც განკუთვნილი იყო შშმ და სსსმ მსმენელთათვის. ✓ 29 და 30 ოქტომბერს კოლეჯის 61 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 45 რკინიგზელსა და 16 არარკინიგზელს ჩაუტარდა შუალედური გამოცდა და გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე;
<p>ნოემბერი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 17 ნოემბერს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს დირექტორთა საბჭოს დადგენილებით, კოლეჯის გადაეცა 300 ძირი ბურდიურის და 10 ძირი ტუია, 22 ძირი კიპარისი, 5 ნერგი ჩინური ვარდი, რომლებიც დაირგო კოლეჯის ტერიტორიაზე; ✓ ნოემბრის თვეში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა შერეული ფორმით კერძოდ, თეორიული მოდულები

	<p>ხორციელდებოდა დისტანციურად ხოლო პრაქტიკული მოდულები კი არადისტანციურად უშუალოდ კოლეჯში არსებულ სასწავლო აუდიტორიებში;</p> <p>✓ 27 ნოემბრიდან ქვეყანაში კოვიდ მდგომარეობის გაუარესებისა და საყოველთაო შეზღუდვების გამოცხადების შემდგომ კოლეჯი სრულად გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე; დისტანციური სწავლების პერიოდში, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე სრულფასოვანი ჩართულობისა და სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემოწმების მიზნით, პროგრამა „DOCS“-ის გამოყენებით შემუშავებულ იქნა ონლაინ მონიტორინგის კითხვარი, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციის თანამშრომლებისა თუ პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სისტემატიურად ხორციელდებოდა ონლაინ მეცადინეობებზე დასწრება და გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება;</p>
<p>დეკემბერი</p>	<p>✓ 3 დეკემბერს დისტანციურ რეჟიმში დასრულდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა „საოფისე საქმის წარმოება“, რომელიც წარმატებით გაიარა ოთხმა შშმ მსმენელმა;</p> <p>✓ 28 ნოემბრიდან - 4 დეკემბრისა და 5 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის Teams-ის პლატფორმის შესწავლის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ იქნა ონლაინ tpdc ტრენინგები. ტრენინგებში ჩაერთვნენ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული კოლეჯის 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც ორ ეტაპად ჩაუტარდათ სპეციალური სასწავლო ტრენინგების კურსი;</p> <p>✓ 4-დან 10 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა პროფესიული განათლების კვირეული (Skills week Georgia), სადაც სპეციალური რეგისტრაციის გავლის შემდგომ ონლაინ ჩაერთო კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები;</p> <p>✓ 11 დეკემბერს GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ კოლეჯს მიაწოდა სასაწყობე ლოგისტიკური აღჭურვილობის ერთი ნაწილი, ხოლო შემდგომ პერიოდში მოხდება დარჩენილი აღჭურვილობის პერიოდული მოწოდება;</p>

	<ul style="list-style-type: none"> ✓ კოლეჯის თანამშრომლების აქტივობების სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების მიზნით შევსებულ იქნა შეფასების სისტემა KPI; ✓ კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სასაქონლო მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი შემოწმება, აღწერა და ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა თუ ვალდებულებების ინვენტარიზაცია.
--	--

შესყიდვები

კოლეჯის მიერ, 2020 წელს, შესყიდვების გეგმისა და დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა დადგენილი წესების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვები და გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

ხელშეკრულების საგანი	მიმწოდებელი	ს/ნ	ხელშეკ N	ხელშეკ. გაფორ. თარიღი	თანხა ლარი დღგ-ს ჩათვლით
ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა	შპს მაგთიკომი	204876606	11.12.20	11.12.2020	4800
დაცვის მომსახურება	შ.პ.ს. "საკუთრების დაცვის სამმართველო-1"	212783353	46	15.12.2020	36900
სველი წერტილებისა და საქვების ტექნიკური მომსახურება	ი.მ ვლადიმერ სტეფნაძე	01017038510	15/12/20	15.12.2020	4800
ჰოსტინგის შესყიდვა	შპს პროსერვისი	204929168	16.12.20	16.12.2020	192
ერთჯერადი ჭიქების შესყიდვა	სს აიდ გრუპ	405176973	14/01/20	14-01-20	247.5
სველი წერტილებისა და საქვების ტექნიკური მომსახურება	ი.მ ვლადიმერ სტეფნაძე	01017038510	28/01/20	28-01-20	4400
ფართის დაქირავება საგამოფენო სივრცე	სს გამოფენების ცენტრი	201990104	უნომრო	20-02-20	775.25

სადეზინფექციო მომსახურება	შპს დეზლაინი	205270945	04/03/20	04-03-20	600
საბიბლიოთეკო წიგნების შესყიდვა	შპს პრიმავერა ჯორჯია	400139266	10/03/2020	10-03-20	185.95
პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა	შპს ორის	206033754	11/03/20	11-03-20	202
კოლეჯის აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, სხვადასხვა ტიპის ხელსაწყოების შესყიდვა	შპს "მაი მობაილ +"	205294705	43	13.03.2020	4070
სპეცტანსაცმლის შეძენა	შპს უნიფორმა და უსაფრთხოება	401965263	44	13.04.2020	7203
საწვავის შესყიდვა	შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი	202352514	20.05.20	20.05.2020	575
კოვიდ 19 რეგულაციის მიხედვით სხვადასხვა საქონლის შეძენა	შპს გამა	402007289	08/06/2020	08.06.2020	2421
ჰოსტინგის შესყიდვა	შპს პროსერვისი	204929168	08.06.20.1	08.06.2020	49
5 ერთეული კომპიუტერის შეკეთება	შპს პისიშოპ.ჯი	205198481	18/06/20	18.06.2020	1245
სპეციალური ფეხსაცმელის შესყიდვა	შპს უნიფორმა და უსაფრთხოება	401965263	01/07/20	01.07.2020	3995
ანტივირუსის პროგრამული პაკეტების შესყიდვა	შპს ჰაი-ტექ სოლუშენს	205268315	05/08/20	05.08.2020	4983.9
ბეჭდვითი მომსახურება	შპს კაბადონი	205186065	05/08/20/1	05.08.2020	2227.5
სატელეკომუნიკაციო	შპს პისიშოპ.ჯი	205198481	05/08/20/2	05.08.2020	606

მოწყობილობე ბისა და აქსესუარების შესყიდვა					
ლამინატორის ფირი შესყიდვა	ი.მ გიორგი კანდელაკი -ვესტა	01009005243	08-07-20	07.08.2020	100
სამეურნეო საქონლის შესყიდვა	სს აიდ გრუპ	405176973	10/08/20	10.08.2020	797.3
საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებე ლი მოწყობილობე ბის, უსაფრთხოებე ს საშუალებების (თანმდევი მონტაჟით) და სხვა დამატებითი საქონლის სახელმწიფო შესყიდვა	შპს დიჯიტეკი	405015512	21/08/20	21.08.2020	3,135.50
A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა	შპს „პენსან ჯორჯია“	404870760	11.09.20	11.09.2020	4,842.50
კარტრიჯების დამუხტვის მომსახურების შესყიდვა	შპს იზი სერვისი	402065144	24/09//20	24.09.2020	825
სამედიცინო სახარჯი მასალების შესყიდვა	შპს გამა	402007289	28/09/2020	28.09.2020	321
2 ერთეული ხაოიანი ხალიჩის შესყიდვა	შ.პ.ს „ნკ ჯგუფი“	401980228	01/10/20	01.10.2020	500

ცეცხლსაქრობი ფხვნილის (თანმდევი 10 ერთეული ცეცხლმაქრის დამუხტვით) შესყიდვა	შპს ჯეტექსი	405268491	06/10/20	06.10.2020	160
ტულეტის ქაღალდისა და ხელსახოცების შესყიდვა	შპს გამა	402007289	10-07-20	07.10.2020	490
დომენის მომსახურება	შპს პროსერვისი	204929168	07.10.20.1	07.10.2020	12
50 ერთეული ნათურის შესყიდვა	შპს ვოლტი	429326598	10-09-20	09.10.2020	225
ერთი ერთეული ბალახის საკრეჭის შესყიდვა	შპს გუდბილდ +	400240217	09.10.20.1	09.10.2020	350
შემდუღებლის და საზეინკლო სახელოსნოში მოწყობილობების მონტაჟის და გადახურვის კერამოგრანიტით მოპირკეთების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	შპს მშენტექზედამხედველი-ნიკოლოზ ბოკუჩავა	401944090	22.10.20	22.10.2020	700
შემდუღებლის და საზეინკლო სახელოსნოში მოწყობილობების მონტაჟის და გადახურვის კერამოგრანიტ	შპს უნივერსალმშენი	404948991	45	26.10.2020	28848

ით მოპირკეთების სამუშაოები					
ზარის შესყიდვა	შ.პ.ს., „გლობალ ელექტრონიქსი“	206129376	25/11/20	25.11.2020	1216
საყვავილე ლარნაკების (ქოთანი) სახელმწიფო შესყიდვა	შპს გორგია	245621288	25/11/20/1	25.11.2020	1179
დამიწებული ნაკელის (მიწის) სახელმწიფო შესყიდვა	შპს Geobotanic	406084231	25/11/20/2	25.11.2020	400
საინჟინრო ექსპერტიზა	სსიპ "ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპ. ერ. ბიურო"	204852089	2001438820	02.12.2020	1255.98
უსაფრთხოების ს მოაჯირის შესყიდვა	შპს UNICOM	400012188	09/12/20	09.12.2020	1200

2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების შედეგად ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 22 100 ლარი.

დაფინანსება

- 2020 წლის კოლეჯის დამტკიცებული ბიუჯეტით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან დაფინანსება განისაზღვრა 282 854 ლარი, ხოლო სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მხრიდან - 282 854 ლარი და 20 000 ლარი (კოლეჯის ქონებისა და მიწის გადასახადის საფასური), სულ - 302 854 ლარის ოდენობით;
- 2020 წლის ვაუჩერულმა დაფინანსებამ შეადგინა 452 648.15 ლარი;
- 2020 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსა და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, კოლეჯს დაევალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო კურსების ჩატარება,

რომელიც განხორციელდა ოქტომბერი - დეკემბრის თვეებში და დაფინანსებამ შეადგინა 10 000 ლარი;

- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსებამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხრიდან კოლეჯი დაფინანსდა 5 492.40 ლარის ოდენობით;
- 2020 წლის 14 თებერვალს სს „საქართველოს რკინიგზა“-სა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული პროფესიული მომზადების პროგრამა "ტექნიკური ნახაზის მხაზველი" , სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მხრიდან დაფინანსდა ღირებულებით 3 195.73 ლარი;
- 2020 წლის 06 ივლისს სს „საქართველოს რკინიგზა“-სა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ტრენინგ-კურსი ინგლისური ენა რკინიგზაში მგზავრთა მომსახურებისთვის, სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მხრიდან დაფინანსდა ტრენინგ კურსის ღირებულებით 5 031.20 ლარი;

დეტალურ ფინანსურ ანგარიშს, დადგენილი წესის თანახმად წარმოგიდგენთ მიმდინარე წლის 15 მარტამდე.

პატივისცემით,

კოლეჯის დირექტორი



მანანა მოისწრაფიშვილი

18.02.2021 წ.